

60. საქართველოს პარლამენტის განცხადება რუსეთის ფედერაციის მიერ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დარღვევის ფაქტების თაობაზე, 2008 წლის 23 ოქტომბერი.

საქართველოს პარლამენტის განცხადება რუსეთის ფედერაციის მიერ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დარღვევის ფაქტების თაობაზე

საქართველოს პარლამენტი გამოხატავს უკიდურეს შემფოთებას რუსეთის ფედერაციის მიერ ევროკავშირის შუამავლობით 2008 წლის 12 აგვისტოს მიღწეული ექსპუნქტიანი ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების აშკარა დარღვევის გამო.

აღნიშნული შეთანხმება მკაცრად ავალდებულებს რუსულ მხარეს ძალების ექვსი აგვისტოს მდგომარეობაზე დაბრუნებას, რაც გულისხმობს ოკუპირებული ახალგორის რაიონის, ცხინვალის გარშემო ქართული სოფლების, საჩხერის რაიონის სოფ. პერევის და ზემო აფხაზეთის დატოვებას. ამის საპირისპიროდ, გრძელდება რუსეთის შეიარაღებული ძალების კონცენტრაცია და პროვოკაციული ქმედებები კონფლიქტის ზონაში. კერძოდ, 22 ოქტომბერს კონფლიქტის ზონაში შეყვანილ იქნა დამატებით 2 000 სამხედრო მოსამსახურე, რითაც მათმა რაოდენობამ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე 7 000-ს გადააჭარბა; ხოლო ახალგორში დამატებით შეყვანილ იქნა 40 ერთეული მძიმე ტექნიკა. ასევე დაწყებულია აშკარად სამხედრო დატვირთვის მქონე უკანონო გზის მშენებლობა ცხინვალიდან ახალგორამდე. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ზრდის აგრესიის გაფართოების საფრთხეს.

საქართველოს პარლამენტი მიიჩნევს, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთის ფედერაციის უშუალო მონაწილეობითა და ხელშეწყობით ჩატარებული ეთნიკური წმენდით რუსეთის ფედერაციამ უხეშად დაარღვია ადამიანის უფლებათა ფუძემდებლური პრინციპები და საერთაშორისო დოკუმენტები. აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დამოუკიდებლობის აღიარება წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევას; ეთნიკური წმენდის შედეგების დაკანონებისა და საქართველოს ტერიტორიის ანექსიის მცდელობას.

აქედან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტი მოუწოდებს საერთაშორისო თანამეგობრობას, მათ შორის მეგობარი ქვეყნების პარლამენტებს:

1. მოსთხოვონ რუსეთის ფედერაციას 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმების სრულად შესრულება;
2. მოსთხოვონ რუსეთის ფედერაციას საქართველოს საჰაერო სივრცის შემდგომი დარღვევის, პროვოკაციული რიტორიკისა და ქმედებებისგან, მათ შორის, აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების შექმნისგან თავის შეკავება;

3. მოსთხოვონ რუსეთის ფედერაციას აფხაზეთსა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მთელ ტერიტორიაზე საერთაშორისო, მათ შორის, პირველ რიგში, ევროკავშირისა და ეუთოს დამკვირვებელთა დაშვების უზრუნველყოფა.

4. მოსთხოვონ რუსეთის ფედერაციას მის მიერ ჩატარებული ეთნიკური წმენდის შედეგების აღმოფხვრა, ყველა იძულებით გადაადგილებული პირის ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნებისათვის ხელის შეწყობა;

5. მოსთხოვონ რუსეთის ფედერაციას ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 1633 რეზოლუციის, მათ შორის, 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესრულება, რომელიც მხარეებს ავალდებულებს იმუშაონ ახალი სამშვიდობო პროცესისა და სამშვიდობო ძალების ინტერნაციონალიზაციის საკითხზე.

6. ევროპის საბჭოს იმავე რეზოლუციის მე-9 მუხლის შესაბამისად, მოსთხოვონ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დამოუკიდებლობის ცნობის გაუქმება.

7. ხელი შეუწყონ უმოკლეს დროში კონფლიქტის ესკალაციის და მიზეზების თაობაზე საერთაშორისო, დამოუკიდებელი გამოძიების მექანიზმის შემუშავებასა და ამოქმედებას.

2008 წლის 23 ოქტომბერი

(საქართველოს პარლამენტის არქივი)